

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი აცხადებს საჯარო აუქციონს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ღრმაღელის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ წყალწმინდაში მდებარე 69,27 კვ.მ შენობა-ნაგებობის და მასზე დამაგრებული 108 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობის (ს/კ N 27.16.50.104) პრივატიზირებაზე.

გამყიდველი - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი.

დასახელება - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ღრმაღელის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ წყალწმინდაში მდებარე 69,27 კვ.მ შენობა-ნაგებობა და მასზე დამაგრებული 108 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობი (ს/კ N 27.16.50.104).

პრივატიზაციის ფორმა - საჯარო აუქციონი.

განაცხადის (განაცხადების) მიღების ვადა - 2015 წლის 12 აგვისტოს 10 საათიდან 2015 წლის 10 სექტემბრის ჩათვლით ყოველდღე (არასამუშაო დღეების გარდა)- 17 საათამდე. აუქციონის ჩატარების დღეს 10 საათიდან 13 საათამდე.

აუქციონის ჩატარების თარიღი და დრო - 2015 წლის 10 სექტემბერი. 15 საათი.

აუქციონის ჩატარების ადგილი - ქალაქი ლანჩხუთი, კოსტავას ქუჩა N37, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის მე-3 სართული (სათათბირო ოთახი).

საწყისი გასაყიდი ფასი - 4238 (ოთხიათასორას ოცდათვრამეტი) ლარი.

„უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია/ზე“ - რომლის ოდენობაც შეადგენს ქონების საწყისი საფასურის 10% - 423,80 (ოთხასოცდასამი ლარი და ოთხმოცი თეთრი)

ბიჯი - რომლის ოდენობაც შეადგენს ქონები საწყისი საფასურის 5% - 211,90 (ორასთერთმეტი ლარი და ოთხმოცდაათი თეთრი)

აუქციონში მონაწილეობის ბილეთის საფასური - 50 (ორმოცდაათი) ლარი.

ანგარიშსწორების ანგარიშის ნომერი - GE75BG000000778077200.

მიმღები ბანკი - „საქართველოს ბანკი“ (BANK OF GEORGIA)

განაცხადის (განაცხადების) მიღების ადგილი (მისამართი) - ქალაქი ლანჩხუთი, კოსტავას ქუჩა N37, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის პირველი სართული (ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის სამუშაო ოთახი)

საკონტაქტო პირის სახელი, გვარი, ტელეფონი - ომარ ჯანაძე-ტელეფონი 599 454 462.

საჯარო აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმი - გამარჯვებულად გამოცხადდება ის მყიდველი, რომელიც ვაჭრობის პროცესში გამყიდველს ყველაზე მაღალ ფასს შესთავაზებს.

კომისიისადმი წარსადგენი დოკუმენტაცია:

- განაცხადი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას მონაწილეზე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების დასახელებაზე, ქონების საწყის საფასურზე, რომლის შექმნაც სურს მონაწილეს.

- „უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია/ზე“-ს და აუქციონში მონაწილეობის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი („უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია/ზე“-ს და აუქციონში მონაწილეობის ბილეთის საფასურის გადახდა უნდა მოხდეს გამყიდველის მიერ მითითებულ ანგარიშზე)

- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის (პასპორტის) ასლი (ფიზიკური პირის

შემთხვევაში).

- სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობა, თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით.

- სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლები და განაცხადის შეტანის მომენტისათვის მოქმედი ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში).

თანხის გადახდის პირობები :

- „უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია/ზე” - რომლის ოდენობაც შეადგენს ქონების საწყისი საფასურის 10% - 423,80 (ოთხასოცდასამი ლარი და ოთხმოცი თეთრი) და აუქციონში მონაწილეობის ბილეთის საფასური - 50 (ორმოცდაათი) ლარი გადახდილი უნდა იქნას საჯარო აუქციონზე განაცხადის წარდგენამდე.

-საპრივატიზებო თანხის სრულად გადახდა აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ ხდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში.

აუქციონის დამატებითი პირობები:

-აუქციონში გამარჯვებულმა საპრივატიზებო თანხა სრულად უნდა დაფაროს ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში.

- აუქციონში გამარჯვებულზე საკუთრების მოწმობა გაცემა საპრივატიზებო თანხის სრულად დაფარვიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

- აუქციონზე გამოტანილი ობიექტის შემძენს, შემძენილ ქონებაზე ოქმითა და ხელშეკრულებით მინიჭებული უფლებები და ნაკისრი ვალდებულებები წარმოემჯება საკუთრების მოწმობის გადაცემის შემდეგ.

- აუქციონზე გამოტანილი ობიექტის შემძენი ვალდებულია შემძენილ ქონებაზე სამშენებლო სამუშაოების ჩატარება და იერსახის შეცვლა განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სამშენებლო ნორმების და წესების მოთხოვნის დაცვით.

- თუ მყიდველი აუქციონის დამატებითი პირობების პირველი პუნქტით დადგენილ ვადებში არ გადაიხდის ქონების ნასყიდობის თანხას, მას არ გადაეცემა საკუთრების უფლება ქონებაზე და შეტანილი „უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია/ზე” არ დაუბრუნდება.